ხაშურის მოამბე

№28 (159) 16 ივლისი, ორშაბათი, 2018 წელი

მერიამ წარმატებული სპორტსმენები და მათი მწვრთნელები დააჯილდოვა

ჩვენს მუნიციპალიტეტში უკვე ტრადიციად იქცა, რომ წარმატებულ სპოტრსმენებს და მათ მწვრთნელებს მერია ფულადი პრიზებით აჯილდოვებს. გამონაკლისი არც ახლა ყოფილა და 2018 წელს მიღწეული წარმატებებისთვის, მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გურასპაშვილმა ჯილდოები გადასცა: გიორგი მეხრიშვილს(სამბო, საქართველოს ჩემპიონი), მიშიკო ნოზაძეს(სამბო, საქართველოს ჩემპიონი), ლუკა მაისურაძეს(ძიუდო, ევროპის ჩემპიონი, საქართველოს ჩემპიონი), თორნიკე კვინიკაძეს(თავისუფალი ჭიდაობა, საქართველოს ჩემპიონი), ბონდო კილაძეს(ძალოსნობა, საქართველოს ჩემპიონი), გიგა ოდიკაძეს(ძალოსნობა, საქართველოს ჩემპიონი), გიორგი ხარაზიშვილს (ძალოსნობა, საქართველოს ჩემპიონი), ლაშა ჩადუნელს(-ძიუდო, თბილისის გრან-პრის პრიზიორი) და მათ მწვრთნელებს ბუხუტი ბუხრიკიძეს, მალხაზ ნოზაძეს, ბეგლარ ხარშილაძეს, გიორგი კვინიკაძეს, ავთანდილ ხარაზიშვილს.

წლის ბოლომდე დიდი დროა და იმედია, ეს სპორტსმენები კიდე მრავალჯერ ასახელებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს და სრულიად საქართველოს.

სურამში, 26 მაისის ქუჩის რეაბილიტაცია დასრულდა

სურამში, 26 მაისის ქუჩის (ბაიანთხევის უბანი) რეაბილიტაცია დასრულდა. ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა მთლიანად 542 ათასი ლარი დაჯდა. სურამის ეს უბანი ტურიზმის აქტიური კერაა და სასიამოვნოა, რომ დამსვენებლებს ამ უბანში გადაადგილება კეთილმოწყობილი გზით მოუწევს, რაც კიდევ უფრო გაზრდის მათ ნაკადს.

სკვერების იერსახის შენარჩუნებაზე მხოლოდ მერია არ უნდა ზრუნავდეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიამ, გასულ წელს გაგარინის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოები განახორციელა, რისთვისაც 89 248 ლარი გამოყო. ბავშვებისთვის დაიდგა ატრაქციონებიც.

პროექტმა კიდევ უფრო გაალამაზა ქალაქის იერსახე და გართობა-დასვენებისთვის ახალი სივრცე შექმნა.

მნიშვნელოვანია, რომ სკვერი რეგულარულად სუფთავდება ა(ა) იპ „სავანეს“ მიერ , ორგანიზაციის თანამშრომლები უვლიან მწვანე ნარგავებსაც და ცდილობენ აღნიშნული ტერიტორია ადგილობრივებისთვის მაქსიმალურ კომფორტის ზონად აქციონ.

სამწუხაროა, რომ თავად ადგილობრივები უდიერად ეპყრობიან სკვერს, არ უფრთხილდებიან ინფრასტრუქტურას. უკვე მწყობრიდან არის გამოსული განათების სისტემები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მოუწოდებს მოსახლეობას, გავუფრთხილდეთ ჩვენს ქალაქს და ვიზრუნოთ მის იერსახის შენარჩუნებაზე!

- სოფლის მეურნეობა -

ალოობა - 2018 - პროცესები მართვადია, მოსავალი - კარგი

თითქმის ორი კვირაა, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტში ალოობა დაიწყო. როგორც ჩვენთან საუბარში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ჯემალ გელაშვილმა განაცხადა, წელს ალოობა ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის უჩვეულოდ ადრე დაიწყო.

კარგმა ამინდებმა და, შესაბამისად, მარცვლოვანი კულტურებისათვის იდეალურმა კლიმატმა აგროვადების პროცესი დააჩქარა და მივიღეთ ის, რომ ალოობა 14-15 დღით დაჩქარდა. თუმცა, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჩვენ, ფერემრები, მომზადებულნი შევხვდით ამ უმნიშვნელოვანეს კამპანიას და პირველი ეტაპიდან გამომდინარე, შედეგები ხელშესახებია.

წელს, მთლიანად მუნიციპალიტეტში, თავთავიანი კულტურები 3 ათას ჰექტარზე მეტზეა დათესილი. აქედან ქერის კულტურას 475 ჰექტარი უკავია, ხორბალს - 2255 და შვრიას - 300 ჰექტარი. დღეისთვის უკვე აღებულია 200 ჰექტარზე მეტი ქერი და 120 ჰექტარზე მეტი ხორბალი (საუბარი ჩაწერილია 13 ივლისს). პირველებმა ალოობა ალის და გომის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალმა სოფლის ფერმერებმა დაიწყეს. საშუალო მოსავლიანობა კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქერი – ჰექტარზე – 2,8 ტონა (ცალკეულ მონაკვეთებში 4 ტონასაც აღწევს), ხორბალი კი 4 ტონას აჭარბებს. დღეისათვის ალოობაში 6 კომბაინია ჩართული. აქედან სამი შპს „მექანიზატორს“ ეკუთვნის, სამი კი კერძო ინიციატივითაა შემოყვანილი. ამ ეტაპზე ეს სრულიად საკმარისია, ხოლო როდესაც ალოობა, ასე ვთქვათ, სრული სვლით ამოქმედდება, ეს რაოდენობა 16 ერთეულს მიაღწევს. ამ დღეებში, კახეთის რეგიონში დასრულდება თავთავიანების აღება და გამოთავისუფლებული კომბაინები აქეთ გამოეშურებიან. ჩვენ ყოველდღიურ მონიტორინგს ვახორციელებთ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დანაკარგები მინიმალურია და მარცვლის ჩაცვენის საშიშროება თითქმის არ არსებობს. ალოობის პროცესი მართვადია და არავითარ გართულებას არ ველოდებით. ალოობა კი 1 აგვისტოსთვის დასრულდება, – განაცხადა ბატონმა ჯემალმა საუბრის ბოლოს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2018 წლის 1-ლი აპრილიდან 30 ივნისამდე გაწეული სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

2018 წლის აპრილის თვიდან დღემდე ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე განხორციელებული სამუშაოების შესახებ მოგახსენებთ შემდეგს:

2018 წლის 1-ლი აპრილიდან დღემდე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმისწარმოების წესით სასამართლოში წარიმართა საქმეები, რომლებშიც ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი იყო როგორც მოსარჩელის, ასევე მოპასუხის სახით (მომზადებული იქნა სარჩელები და შესაგებლები). სამსახურის მიერ რიგი საქმეები გასაჩივრებული იქნა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში (მომზადებული იქნა სააპელაციო და საკასაციო საჩივრები).

საანგარიშო პერიოდში, სასამართლო წარმოებაში იყო 25 საქმე, საიდანაც 19 ადმინისტრაციული და 6 სამოქალაქო სამართალწარმოების საქმეა. 25 საქმიდან 5 დასრულდა და შევიდა კანონიერ ძალაში. აქედან, 3 მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაწყდა, 1 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო 1 მოსარჩელის სასარგებლოდ დასრულდა. დღეისათვის, სასამართლოში მიმდინარეობს განხილვა 20 საქმეზე, მათ შორის, 7 საქმე პირველ ინსტანციაში, 9 სააპელაციო სასამართლოში, ხოლო, 4 უზენაეს სასამართლოში.

ამასთანავე, მერიის იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურმა სამართლებრივი დახმარება გაუწია სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 1971 მუხლით (სამხედრო ვალდებულების მოხდისთვის თავის არიდების მიზნით სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამწვევ კომისიაში გამოუცხადებლობა) გათვალისწინებული სამართალდამრღვევთა მიმართებაში. ასევე, მიმდინარე პერიოდში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ 43-ე (უნებართვო მშენებლობის, რეკონსტრუქციის ან/და დემონტაჟის წარმოება) და 45-ე (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) მუხლების დარღვევების გამო 5 ფაქტზე მოხდა შესაბამისი რეაგირება (დაჯარიმება), სადაც იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული იქნა შესაბამისი სამართლებრივი დახმარება.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების პროცესში. საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან 2018 წლის 20 მარტს შემოსული №8442 წერილის შესაბამისად, საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, სამსახურმა განახორციელა 4 ახალი წესის საკრებულოს სხდომაზე ინიცირება, მათ შორის:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უფასო სასადილოში ბენეფიციარების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ;
2. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესის დამტკიცების შესახებ“;
3. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ“;
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების - ძაღლის და კატის მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ;

6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის ინიცირება, მათ შორის:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 თებერვლის №3 დადგენილებაში, „ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ის მიერ საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად და ბეჭდური ფორმით გამოქვეყნების წესისა და გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 იანვრის №5 დადგენილებაში, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების – ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ სპორტსმენების და ნაკრები გუნდების, სპორტულ ღონისძიებებზე მივლინებისას, კვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო თანხის ოდენობისა და ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 7 მარტის №10 დადგენილებაში, „ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებისა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის და გეგმის ცვლილების ცნობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 6 ივნისის №19 დადგენილებაში, „ხაშურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
5. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ოქტომბრის №47 დადგენილებაში, „ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
6. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 11 ნოემბრის №56 დადგენილებაში, „ხაშურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება), ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

10 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ პროექტების ინიცირება, მათ შორის:

1. “სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ერთიანი სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემის მოქმედების წესებისა და სამუშაო რეჟიმის დებულების დამტკიცების შესახებ”, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 ნოემბრის №78 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
2. “ხაშურის თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 6 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის №14 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
4. “ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სპეციალისტების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კანდიდატებისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ”, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 18 თებერვლის №18 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს დებულების დამტკიცების შესახებ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 19 თებერვლის №26 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
6. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ,“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 21 დეკემბრის №50 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
7. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №52 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
8. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №86 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
9. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 11 დეკემბრის №74 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;
10. „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის №60 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე;

პარალელურ რეჟიმში, სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ყველა სამსახურის მიერ მომზადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების, შემოსული კორესპონდენციის ვიზირება და პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დასკვნების მომზადება. საანგარიშო პერიოდში, იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეკონომიკური განვითარების და საბიუჯეტო სამსახურებიდან შემოსული დოკუმენტაციის საფუძველზე გაცემულია 13 დასკვნა, რომელიც ძირითადად ეხებოდა მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ანაზღაურებას, მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის მიზანშეწონილობას და პირგასამტეხლოს შესაძლო დაკისრებას.

სამსახურის მიერ მუდმივად ხდება მუნიციპალიტეტისათვის მომართულ მოქალაქეთათვის სამართლებრივი კონსულტაციის გაწევა, როგორც წერილობითი ფორმით, ასევე ზეპირად.

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, აგრეთვე, უზრუნველყოფს წარმომადგენლობას სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებში.

სამსახური ჩართულია მერიაში შექმნილი კომისიების (დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში შექმნილ) და სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, მათ შორის

1. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია” (წევრი ირინე ფერაძე);
2. „მოქალაქეობის დადგენის მიზნით, პირის ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრების (ყოფნის) ფაქტის დამდგენი კომისია“ (წევრი ნატო ხრიკული);
3. “ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი“ (წევრი მადონა ძინძიბაძე);
4. ხაშურის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, ა(ა)იპ “ხაშურის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების საბავშვო ბაღების გაერთიანების” ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის სამუშაო ჯგუფი“ (წევრი ნატო ხრიკული);
5. „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია“ (წევრი დავით ღვალაძე, თამარ გოგალაძე);
6. „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების შესაძლებლობის, მიზანშეწონილობისა და მოცულობის განმსაზღვრელი კომისია“ (წევრი თამარ გოგალაძე);
7. ხაშურის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია (წევრი დავით ღვალაძე, აპარატის წევრი ეთერ ხვედელიძე);
8. ზედამხედველობის კომისია (წევრი თამარ გოგალაძე);
9. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო (წევრი თამარ გოგალაძე);
10. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ, მოქმედ სამართლებრივ აქტებში შესაძლო ტექნიკური და სხვა ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი“ (წევრები: დავით ღვალაძე, ირინე ფერაძე).

იურიდიული უზრუნველყოფის სამსახური, მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად, ჩართული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში 2018 წლის 30 მარტს დაწყებულ რეორგანიზაციის პროცესში, რომელიც დასრულდა 2018 წლის 25 მაისს. რეორგანიზაციის შედეგად ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში განხორციელდა ნაწილობრივი სტრუქტურული ცვლილებები და საშტატო შემცირება. რეორგანიზაციის შედეგად, მერიის საშტატო ერთეული 142-დან შემცირდა 138 ერთეულამდე.

მოქმედი კანონმდებლობის ცვლილებების პარალელურად და სამსახურებრივი საქმიანობის სპეციფიკიდან და სტატისტიკიდან გამომდინარე, სამსახური მუდმივ რეჟიმში ახორციელებს და გეგმავს მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტებში, მერიის დებულებაში და მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - სამსახურების დებულებებში ცვლილებების შეტანას, ასევე, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების შემუშავებას და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანას.

დავით ღვალაძე,
იურიდიული უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

- სოფლის მეურნეობა -

პაატა ხარშილაძე - მომავლზე ორიენტირებული ფერმერი

ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩევა, ყოველდღიურად ვხვდებით და ვეცნობით ადამიანებს, რომლებიც თავს არ ზოგავენ სასოფლო-სამეურნეო დოვლათის შესაქმნელად. მათ ენთუზიაზმს თუ სახელმწიფოს მხრიდან სწორ მიდგომებს დავუმატებთ, სოფლის მეურნეობა ნამდვილად წამყვანი როგორი იქნება ქვეყნის ეკონომიკის. ამ ეტაპზე, დამეთანხმებით, გლეხს, ფერმერს და კოოპერატივსაც არც თუ ცოტა პრობლემები აქვთ, მიუხედავად დიდი მხარდაჭერისა სახელმწიფოს თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. მთავარ პრობლემად, გასაღების ბაზრის არქონა და პროდუქციის დაბალი საბაზრო ღირებულება რჩება. ჩვენი რესპონდენტიც იგივე პრობლემის წინაშე დგას, შრომა არ ეზარება, სხვებსაც ასაქმებს - ხან უმართლებს, ხან - ნაკლებად, თუმცა, უკეთესი მომავლის იმედით, ყოველწლიურად, 30 ჰა მიწის ნაკვეთს ამუშავებს. პაატა ხარშილაძე სოფელ ვაყაში ცხოვრობს, თუ რა საქმითაა დაკავებული, რა რაოდენობის მოსავალი მოჰყავს, რა პრობლემები აქვს, თავად მას ვესაუბრეთ:



–სოფლის მეურნეობით დაინტერესება ახალი არაა, ბავშვობიდან ამ პროცესში ვარ ჩართული, მაგრამ სერიოზულად მაშინ მივუდექი საქმეს, როცა სამსახურის პოვნა ძალიან გაჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ძალიან მცირე, დაახლოებით 2,50 ჰა ფართობი მაქვს, ამას ხელი არ შეუშლია მექირავებინა სხვისი ნაკვეთები და ასე გამეფართოვებინა მეურნეობა. დღეს 35 ჰა-მდე მიწა მაქვს ნაქირავები კლდისწყაროში და ნაბახტევში.

- რა კულტურები მოგყავთ?

–ჩვენთან გავრცელებული და კლიმატს შეგუებული კულტურები მომყავს-ლობიო, ხორბალი და კარტოფილი. ხორბლის აღებას ახლა ვიწყებ, იმედი მაქვს, მოლოდინს გაამართლებს. 11 ჰა ლობიო მითესია, საკუთარი ძალებით გამკლავება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. გასულ წელს 30 ადამიანი დავიხმარე, წელსაც იგივე რაოდენობას დავიქირავებ, სავარაუდოდ.

- მოლოდინები როგორი გაქვთ მოსავალთან დაკავშირებით?

–საშუალოდ, 4-5 ტონა ხორბალს ველოდები 1 ჰა-ზე, თუმცა, იყო წელიწადი, როცა 7 ტონამდე მოსავალი მივიღე. ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, პირველ რიგში, წვიმიან და ტენიან წელზე. გასულ წელს, ყინვას ვერ გაუძლო და იმ ხალხსაც მოუყინა ხორბლის ნათესები, ვისაც მივყიდე სათესლე მასალა.

- რაიმე სახელმწიფო პროგრამით ხომ არ სარგებლობთ?

–სოფლის მეურნეობა დღეს ძალიან დიდ რისკთანაა დაკავშირებული. მხოლოდ ერთი ტრაქტორი მყავს, არც სახელმწიფო გრანტი არ მაქვს, არც კოოპერატიულ მეურნეობაში ვარ გაწევრიანებული, მხოლოდ საკუთარი ძალებით და ენთუზიაზმით ვაკეთებ ყველაფერს.

- როგორც ფერმერს, რა გიქმნით ყველაზე დიდ პრობლემას?

–მთავარი პრობლემა გასაღება და პროდუქტის დაბალი საბაზრო ფასებია. გარკვეულ რაოდენობას ველოდები მოსავლისას, ჩემი მოლოდინები მაქვს, თუმცა, არ ვიცი, სად და როგორ გავყიდო, დაბალი ფასი ძალიან დიდი ზარალია. დასაწყობებაც არაა მარტივი, დამატებითი ხარჯია და თვითღირებულება იმდენად მაღალია, ფაქტობრივად, წაგებაზე მიდიხარ და სტიმულს კარგავ, რომ მომავალ წელს უფრო მეტი დათესო. ორი წლის უკან 100 ტონა ხორბალი მომივიდა, დავასაწყობე, ქირა ვიხადე, მაგრამ იგივე ფასში გავყიდე, რაც დიდი ზარალი იყო. მიუხედავად ამისა, მაინც წინსვლაზე, განვითარებაზე ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ შეიცვლება სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ დარგის მიმართ. წელსაც, 350 ძირი შავი ქლიავი გავაშენე, სანამ მსხმოიარობაში შევა, ახლავე დავიწყე იმაზე ფიქრი და წუხილი, სად გავუკეთო რეალიზება. ადამიანი, რომელიც პროდუქციას ქმნის, მოსავალი მოჰყავს დიდი ძალისხმევის შედეგად, არ უნდა ჭირდებოდეს ფიქრი, რა უყოს მოსავალს, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაშიც სახელმწიფოს მხრიდან თანადგომა აუცილებელია.

თ. ჯავახიშვილი

საბავშვო ბიბლიოთეკის პატარა მკითხველები ბათუმელებს თავის შემოქმედებას აცნობენ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების საბავშვო ბიბ-ლიოთეკასთან არსებული მუსიკალურ- თეატრალური სტუდიის ბავშვები, გაცვლითი პროექტის ფარგლებში, ქობულეთსა და ბათუმს სტუმრობდნენ. მათ, ქალაქ ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშ-ვო განყოფილებაში ბათუმელი თანატოლებისათვის, წარადგინეს ირმა მალა-ციძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი “ სამშვენიეროს ლამაზმანები”. სტუდიის აღსაზრდელები ღირსეულად წარსდგნენ ბათუმელი მაყურებლის წინაშე და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

აღსანიშნავია, რომ აქტივობა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის, განათ-ლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მხარდაჭერით შედგა.

საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მაკა დიდებულიძისა და მუსი-კალური-თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელის ნონა ტეფნაძის განცხადებ-ით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებასა და ბათუმის საბავშვო ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება. განხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც, რაც ორივე მხარისთვის საინტერესო იქნება.

ტრენინგი ნარჩენების მართვის საკითხზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებს ნარჩენ-ების მართვის და ამ საკითხთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესა-ძლებლობების თემაზე ტრენინგი ჩაუტარდათ.

ტრენინგზე, რომელიც ხაშურის ქალთა საინიციატივო ჯგუფის და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) ინიცირე-ბით და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ჩატარდა, მოსწავლეებმა შეიტყეს, თუ როგორ უნდა აეწყოს ნარჩენების მართვის მდგრადი სისტემა დღევანდელ მომხმარებლურ საზოგადოებაში და რა ნაბიჯები უნდა გადაიდ-გას ნარჩენების შესამცირებლად როგორც სამთავრობო და არასამთავრობო, ისე ფიზიკური პირების დონეზე.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ ხაშურის მე-3, მე-6, მე-7 , სურამის 1-ლი საჯარო სკოლების მოსწავლეები და არასამთავრობო ორგანიზაცია „მომავლის სახლის“ წარმომადგენლები.

ტრენინგი გაიმართა პროგრამის “ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები რე-გიონებში” (WMTR II) ფარგლებში, რომელსაც ფინანსურ მხარდაჭერას უწ-ევს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და ახორციელებს CENN.

პროგრამა მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს ნარჩენების მართვის მართებული სისტემის ჩამოყალიბებაში. პროგრამა, ასევე ითვალისწინებს ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის პრო-ცესში ქალთა ჩართულობის გაზრდას.

ვალიკო რუსია – ლეგენდა, რომელიც დღესაც ცოცხლობს

ზოგადად, ლეგენდებს ერთი საერთო თვისება აქვთ – იქმნებიან იმისთვის, რომ ერს, ქვეყანას მაგალითი აჩვენონ, აჩვენონ თუ როგორია უფლის გზა, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა, რა

უნდა აკეთოს ინდივიდმა, რომ ჩირაღდნად იქცეს და მომავალ თაობებს სინათლის სხივი გააყოლოს წინსვლისთვის. ლეგენდებს არავინ წერს, არც შეიძლება ვინმე კონკრეტული ავტორი ჰყავდეს, რადგან მაშინ, მასში სუბიექტივიზმი იქნება ჭარბად და შეიძლება, ჭეშმარიტებას ასცდეს. ლეგენდა თვითონ ქმნის საკუთარ სიცოცხლეს. ერთადერთი, მხოლოდ უფლის ხელი ურევია ალბათ, ამ სიცოცხლის შექმნაში.

ვალიკო რუსია – საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს კაცი სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. ამაზე ოდნავ ქვემოთ. დღეს კი, ბევრი გინახავთ ისეთი, რომლის სახელის და გვარის ხსენებისას, მისი გარდაცვალებიდან 30 წლის შემდეგაც, ვინმემ იკითხოს ან არ იცოდეს, ვინ იდგა ამ სახელის უკან? ყოველშემთხვევაში, ჩვენს მუნიციპალიტეტში, ზრდასრულ ადამიანთა შორის, არა მგონია, ვინმე იყოს, ვინც ვალიკო რუსიას შესახებ არაფერი იცოდეს.

საქართველოში, რატომღაც, ასეა მიღებული: როდესაც კონკრეტულ პიროვნებაზე რამე იწერება, აუცილებლად მისი საპასპორტო სახელით უნდა მოიხსენიონ. ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა დავარღვიოთ ეს „ტრადიცია", სხვაგვარად არც გამოვა. ვალიკო რუსია – ეს სახელი და გვარი ერთგავარ ბრენდად იქცა სურამში (და არა მარტო) და მისი საპასპორტო სახელი – ვარლამი – თითქოს, რაღაცნაირად, არ ჯდება დამკვიდრებულ ლეგენაში.

65 წელი იცოცხლა ამ ღირსეულმა კაცმა და აქედან ნახევარი საუკუნე – ზრდასრულობიდან სიცოცხლის ბოლომდე – მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა – დახმარებოდა ადამიანებს. მეტსაც შეძლებდა, რომ არა იმ უხეირო წყობის და მაშინდელი კომუნისტი ხელმძღვანელობის სულელური იდეები, თორემ რა უნდოდა ამ ოქროსხელება კაცს, ორმოცგრადუსიან სიცხეში, ყურძნის საკრეფად კოლმეურნეობის ზვრებში?

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები კი ასეთია: დაიბადა 1911 წელს. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, გაანაწილეს სურამის სამხედრო ჰოსპიტალში. სურამში დაოჯახდა უმშვენიერეს ქალბატონზე – მანანა ბერიძეზე. ოთხი შვილი შეეძინათ. პირველი, სამწუხაროდ, პატარა ასაკში დაეღუპათ, ნათელა, ზურაბი და მედიკო კი ოჯახის სიხარულად იქცნენ. ომის დამთავრების შემდეგ, იგი მუშაობას იწყებს ტუბერკულიოზით და ფილტვების დაავადების მქონე პაციენტების დასასვენებელ პანსიონში, რომლის ბაზაზეც, ბატონი ვალიკოს უშუალო ჩარევით და ძალისხმევით, შემდგომ წლებში, ტრავმატოლოგიური საავადმყოფო შეიქმნა. აი, სწორედ აქ იქცა ვალიკო რუსია პროფესორად, აკადემიკოსად და დიდოსტადად. არა, სამეცნიერო წოდება არც ჰქონია. საკანდიდატო დისერტაციაც კი არ დაუცავს. არც აინტერესებდა. სად მცალია ამისთვისო – ხშირად ამბობდა. ან რაში სჭირდებოდა? იმდენად დიდი სახელი ჰქონდა, ვალიკო რუსიას საავადმყოფო (ასე მოიხსენებდა მაშინ ყველა ამ სამკურნალო დაწესებულებას), მთელი საქართველოს მასშტაბით, ტრავმატოლოგიის ცენტრად იქცა. გიუდებოდნენ თბილისში (დღევანდელი ღუდუშაურის სახელობის კლინიკა), როდესაც მათი პაციენტები სურამში გამორბოდნენ ოპერაციის გასაკეთებლად. მე, პირადად ვიცნობ პიროვნებას, რომელიც ავტოავარიაში მოჰყვა, ორივე ფეხის მძიმე მოტეხილობა მიიღო და ოჯახმა სასწრაფოდ გადააფრინა მოსკოვში. მაშინ, საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ტრავმატოლოგიაში, სრულიად ახალი და ინოვაციური მეთოდი დანერგა აკადემიკოსმა ელიაზაროვმა, მსოფლიო მასშტაბის მეცნიერმა და ექიმმა. როდესაც ეს კაცი მას ანახეს, ელიაზაროვი მისი წარმომავლობით დაინტერესდა, უთხრეს, რომ სურამიდან იყო. ჯერ ეს უკითხავს – ბატონი ვალიკო რუსია ხომ კარგად არისო, როდესაც დადებითი პასუხი მიიღო, გადარეულა კაცი, ვალიკო იქ გყავთ და ამხელა მანძილზე ჩემთან რა მოგარბენინებდათო.

ათასობით ოპერაცია ჩაუტარებია წარმატებით. ყოფილა შემთხვევა, როდესაც დღე და ღამე არ სძინებია და გადაბმულად 12 ოპერაცია გაუკეთებია. მესხეთ-ჯავახეთი, შიდა ქართლი, იმერეთი – ყველა მასთან გამორბოდა. ათასობით სიცოცხლე უხსნია, ათასობით ადამიანი დაუბრუნებია ცხოვრების ფერხულში. ტრავმატოლოგი კი იყო, მაგრამ ყველანაირ ქირურგიულ ოპერაციებს ატარებდა. ან სად იყო იმის დრო, როდესაც დასახიჩრებულ პაციენტს მიუყვანდენ, რომ თბილისიდან გამოეძახებინა კონკრეტული სპეციალისტი? იქ ხომ ყოველი წუთი იყო ძვირფასი?! გახსოვთ ცნობილი ფილმის ცნობილი ფრაზა – სათნო, კეთილი, კაიგვარიშვილი და თანაც ექიმი, მხოლოდ ერთია ჩვენს ქალაქშიო, აგული ერისთავი რომ ამბობს? ასეთი იყო სწორედ ბატონი ვალიკო – სათნო, კეთილი, დიდოსტატი და თანაც ერთადერთი.

დრო გარბის, ცხენის ფლოქვებზე ნაბადაკრული სიჩუმით გარბის. უკან მხოლოდ მოგონებები რჩება, რომელიც თანდათან ფერმკრთალდება და მერე, ათეული წლების მერე, ქრება. თუმცა, არის მოგონება, არიან ადამიანები, რომლებიც ისეთ კვალს ტოვებენ, ეს კანონზომიერება არ ეხებათ. ასეთი იყო ვალიკო რუსია, რომელიც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა და არც მომავალში ემუქრება ამ ლეგენდას გახუნება.

გოგი გოგოლაძე

— კალათბურთი —

თამარ პაპუაშვილი ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია

თამარ პაპუაშვილს ჩვენი მკითხველი უკვე კარგად იცნობს. ხაშურის მესამე საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე, კალათბურთში, საქართველოს 16 და 18 წლიანთა ნაკრების წევრია და შესანიშნავი თამაშით იპყრობს ყურადღებას. ახლაც, მოლდოვაში ჩატარებული ევროპის პირველობაზე („ც" დივიზიონი) მისი ძალიან დიდი დამსახურება იყო, რომ ჩვენმა ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. თამარი ჯერ 15 წლისაა (სიმაღლე 182სმ), ყველაფერი წინ აქვს და იმედიც გვაქვს, რომ მისი სახით საქართველოს ქალთა კალათბურთს ერთ-ერთი ლიდერი ეზრდება. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატს, რომელიც მოლდოვაში ჩატარდა, აქ ჯგუფში ჩვენს ნაკრებთან ერთად მალტის, მონაკოს და ავსტრიის ნაკრებები იბრძოდნენ.

ჩვენმა გოგონებმა შეძლეს ჯგუფიდან გასვლა და ნახევარფინალში შოტლანდიას დაუპირისპირდნენ. შეხვედრა მართლაც დრამატული გამოდგა და საქართველოს ნაკრებმა 3 ქულით დათმო თამაში. თუმცა, თამარის მონაგარი მაინც მაღალი იყო – 10 ქულა, 7 მოხსნა და 5 ჩაჭრა. ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში კი, მოლდოვის ნაკრებთან, შეიძლება ითქვას, თამარის დიდი დამსახურებით გავიმარჯვეთ. შეხვედრის დამთავრებას 5 წამი აკლდა. მოლდოველები წინ იყვნენ 1 ქულით (50-49), თან ბურთსაც ფლობდნენ. აი, სწორედ აქ გაიბრწყინა თამარმა, ბურთი ჩაჭრა და ფარქვეშ, თავისუფალ ზონაში მყოფ თანაგუნდელს გადააწოდა – ორი ქულა და შეხვედრაც დასრულდა. თამარმა ამ შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა – ათი ქულა, ათი მოხსნა და 4 ჩაჭრა – მშვენიერი შედეგია.

პირველ აგვისტოს 18 წლიანთა ევროპის ჩემპიონატი („ბ" დივიზიონი) იწყება. თამარი ამ ნაკრების წევრიცაა და იმედია, იქაც ისახელებს თავს. სხვათაშორის, მასთან ერთად, 18 წლიანთა ნაკრებში, ჩვენი სასპორტო სკოლის (მწვრთნელი ირაკლი ბითაძე) კიდევ ერთი აღზრდილი მარიამ ღარიშვილიცაა. გზა დავულოცოთ ჩვენს გოგონებს. გვჯერა, ეს წყვილი ახლაც და მომავალშიც მრავალჯერ ასახელებენ ჩვენს მუნიციპალიტეტს და სრულიად საქართველოს.

გოგი გოგოლაძე

- ქველმოქმედება -

„ევო- ფიტნესი" - შშმ პირების მეგობარი

ხაშურში მოქმედმა სავარჯიშო დარბაზმა ,,ევო ფიტნესი", ჩვენი ყურადღება, ქველმოქმედების გამო მიიპყრო. ჩვენ ხშირად ვაშუქებთ განვითარებისა და კეთილდღეობის ცენტრის ,,მომავლის სახლის" აქტივობებს. ფიტნეს დარბაზის ეს კეთილი საქმე, სწორედ, რომ ამ ცენტრის ბენეფიციართა დასახმარებლადაა მიმართული. დარბაზს პირადად ვესტუმრეთ და ადგილზე დავათვალიერეთ არსებული მდგომარეობა. სასიამოვნო და მოწესრიგებულ გარემოსთან ერთად, მომხმარებელს კვალიფიციური ტრენერი და მასაჟისტი ემსახურება. რედაქცია დარბაზის მასაჟისტ ნინო აბაიაძეს და მწვრთნელს გურამ იაძეს ესაუბრა. უფრო ვრცლად, ქველმოქმედების შესახებ, ინტერვიუდან შეიტყობთ.

- რამდენი ხანია, რაც სავარჯიშო დარბაზი ფუნქციონირებს?

– ნინო აბაიაძე (ევო-ფიტნესის მასაჟისტი) - „ევო-ფიტნესი", დაახლოებით, ერთი წლის წინ გაიხსნა. დარბაზის დირექტორი მამუკა შეყელაშვილი გახლავთ, მასთან ერთად კი, მეც აქტიურად ვიყავი ჩართული დარბაზის საორგანიზაციო საკითხებში. თავად მამუკას, დიდი გამოცდილება ჰქონდა ამ კუთხით და ვფიქრობთ, ქალაქს, ნამდვილად სჭირდებოდა ისეთი ტიპის დაწესებულება, სადაც ახალგაზრდები, და არამარტო, ჯანსაღი ცხოვრებით დაკავდებოდნენ.

- როგორც ვიცით, დარბაზს კვალიფიციური მწვრთნელიც ემსახურება..

– გურამ იაძე(ევო-ფიტნესის მწვრთნელი): ვარჯიში დარბაზში ერთი წლის წინ დავიწყე. მე, თავად რაგბისტი ვიყავი, თუმცა, ტრავმის გამო, ველარ ვახერხებ თამაშს. დროთა განმავლობაში, შევისწავლე ყველა პროგრამა, გავიარე სტაჟირება. მომხმარებელს ინდივიდუალურად, ვეხმარები ვარჯიშსა და შესაფერისი კვების შერჩევაში, საჭიროების შემთხვევაში, ვუნიშნავ დიეტებს და ა.შ.

- ჩვენი შეხვედრის მთავარ მიზეზზე - ქველმოქმედებაზე ვისაუბროთ..

– (ნინო აბაიაძე): დიახ, ევო-ფიტნესი აქტიურადაა ჩაბმული ქველმოქმედებაში. როგორც იცით, „მომავლის სახლის" ბენეფიციარები, მეორე წელია, ატიურად არიან ჩართულნი ჯომარდობაში. მათ ჩვენი ფიტნეს დარბაზი მასპინძლობს, კვირაში სამი დღე და სრულიად უსასყიდლოდ ვარჯიშობენ და სარგებლობენ მასაჟის კაბინეტით. მოგეხსენებათ, ბოლოს გამართულ ჯომარდობის შეჯიბრში მეორე ადგილი დავიკავეთ, ეს კი, ჩვენი ინსტრუქტორის გურამის და დირექტორის - მამუკას დამსახურებაა, რომლებიც თავს არ ზოგავენ ბავშვების დასახმარებლად. სულ ამ ეტაპზე 9 ბენეფიციარი გვსტუმრობს. ვეხმარებით ხაშურელ რაგბისტებსაც. მათ შედავათს ვუკეთებთ და ბიჭები ნახევარ ფასად სარგებლობენ ჩვენი დარბაზის მომსახურებით.

- რა სახის სერვისს სთავაზობს დარბაზი მომხმარებელს?

– (გურამ იაძე:) „ევო-ფიტნესი" სთავაზობს მომხმარებელს მრავალფეროვან ტრენაჟორებს, კეთილმოწყობილ საშხაპეებს, მწვრთნელის მომსახურებას. მოწესრიგებულია გასახდელების მდგომარეობა, ჩვენს დარბაზში, გვაქვს ინდივიდუალური კარადები, სამოსის შესანახად, რომელიც ყოველდღიურად სუფთავდება.

- რა ასაკის მომხმარებელზეა გათვლილი დარბაზი?

– (გურამ იაძე:) ძირითადად, 12 წლის ასაკს გადაცილებულ მომხმარებელს ვიღებთ. შედარებით პატარა ასაკის მომხმარებელს მსუბუქი და კარდიო ვარჯიშებით ვტვირთავთ. მცირეწლოვანთა მიღებისგან თავს ვიკავებთ, რადგან ჯერ მათი ორგანიზმის და ძვალ-კუნთოვანი სისტემის ჩამოყალიბება მიმდინარეობს.

- მასაჟის კაბინეტი რა სერვისს გვთავაზობს?

– (ნინო აბაიაძე:) მასაჟის კაბინეტი სთავაზობს მომხმარებელს სამკურნალო, სპორტულ-გამაჯანსაღებელ და სარელაქსაციო მასაჟს.

- რამდენად ხელმისაწვდომია ფასებია მომხმარებელისათვის?

– (ნინო აბაიაძე:) ვფიქრობთ, რომ ხელმისაწვდომია. ლიმიტირებული პაკეტი გვაქვს - 35 ლარიანი და ულიმიტო - 50 ლარიანი. ერთი ვიზიტი – 5 ლარი. ვინც ჩვენთან აქიტიურად ვარჯიშობს, მათ მასაჟის კაბინეტიც შეღავათიან ფასებში ემსახურება. აგრეთვე, თუ მომხმარებელი 3 თვიან აბონიმენტს აიღებს - მეოთხეს ვჩუქნით.

თინა ახალკაცი

სურამელი მხატვარი ამერიკელი როკ-მუსიკოსის გალერეაში და მისი ნახატების მაგიურობა

დღეს უკვე ამერიკაშიც, გიგა სურამელად იცნობენ, ოფიციალურად გიორგი ბლიაძეა. რადგან წარმოშობით სურამელია, ეს ფსევდონიმიც ამიტომ აიღო. ამერიკაში საკმაოდ მარტივად მოხვდა. იქ უცნაური ხელწერით მიიქცია ყურადღება. გამოფენები ამერიკის გარდა გერმანიასა და ინდოეთში ჰქონდა. არც ისე დიდი ხნის წინ, ის მიიწვია ამერიკელმა მუსიკოსმა შოუნ ჯეიმსმა, რომელსაც საკუთარი გალერეა აქვს და ხელოვნების თაყვანისმცემელია.

- ბატონო გიგა, ხელოვანი ადამიანები თავისუფალ სამყაროში თავს კარგად გრძნობენ, და მაინც...

— რატომ ჩამოვედი უცხოეთში? რა გითხრათ, ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთხელ, იტალიაში, ტაქსის მძღოლმა როცა გაიგო, რომ მხატვარი ვიყავი, ფული არ გამომართვა. მაშინ მივხვდი, აი, სად სცემენ მხატვრებს პატივს, ასეთი დამოკიდებულება მინდა, რომ ჩემ სამშობლოშიც ჰქონდეთ მხატვრების მიმართ. ხატვის ნიჭი ჩემში გენეტიკურია — ბიძაჩემი

ხატავს და თან ხის ქანდაკებებს აკეთებს. დედაჩემი კარგად ხაზავდა, ძმებიც ხატავენ. სამხატვრო აკადემიაში ისე ჩავაბარე, რომ საერთოდ არ მოვმზადებულვარ. სიმართლე გითხრათ, აკადემიას არაფერი მოუცია, პირიქით, სულ რაღაც სტანდარტებისკენ მივყავდი, რასაც საბოლოოდ გავექეცი. ხელი ისე მქონდა გაწაფული, რომ სულ ვაშლები და მსხლები მეხატებოდა, ამიტომ გადავწყვიტე — ეს არ იყო ჩემი გზა მხატვრობაში, რაც შეეხება ჩემ სტილს, სიურეალიზმი და რეალიზმი მომწონს. თუმცა, ჩემი შინაგანი სამყაროს გადმოსაცემად არ ვიზღუდები – რა განწყობაზეც ვარ, ისე ვხატავ ხოლმე, ჩემი ნახატების ძირითადი თემა ადამიანი და სამყაროს მრავალფეროვნებაა. მომავალში ვფიქრობ არახილვადი სამყარო ვხატო

სურამი - ქართული ფლორენცია?

გიგა სურამელი: სურამი ჩემი ბავშვობაა, ყველაფერი კარგი ჩემ ცხოვრებაში სურამთან ასოცირდება – ოჯახი, სკოლა, მეგობრები... აკადემიაში სწავლის დროინდელი ამბავი მახსენდება: ერთხელ, თბილისის სამხატვრო აკადემიაში რომ ვსწავლობდი, ხუთი მეგობარი

სურამელი მხატვარი შევხვდით ერთმანეთს. ამ დროს ბატონმა გია ბუღაძემ ჩამოიარა. მე მიცნობდა და მეგობრებზე მკითხა, საიდან არიანო. ვუპასუხე, რომ ყველანი სურამიდან იყვნენ და სამხატვროში ვსწავლობთ–მეთქი. მას გაეცინა და გვითხრა, გამოდის, რომ სურამი ფლორენცია ყოფილაო, და გზა გააგრძელა. ხუმრობა იქით იყოს და, სურამში მართლა ბევრი ნიჭიერი შემოქმედი ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ის რატომღაც, მარტივად მხოლოდ ნაზუქთან ასოცირდება და ეს ძალიან გულდასაწყვეტია

- როგორ მოხვდით ამერიკაში და რა იყო ყველაზე დიდი სირთულე?

— გაგიკვირდებათ, და ჩემ შემთხვევაში, ძალიან მარტივად მოხდა ყველაფერი. უბრალოდ, ერთ მშვენიერ დღეს, ამერიკის საელჩოში ოლიმპიური სიმშვიდით შევედი — სახელფასო ცნობაც არ მქონდა, ან რა ხელფასი უნდა მქონოდა ქართველ მხატვარს? საელჩოში პირდაპირ და გულახდილად ვთქვი,

რომ მხატვარი ვარ და მოკლედ მოვყევი ჩემი ამბავი. არ ვიცი, რა თვალით შემომხედა, სიტყვაზე მენდო და გამომიშვა. ამერიკაში სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. ჩემთვის ყველაზე რთულად აღსაქმელი ამ ქვეყნის მასშტაბი იყო. მახსოვს, ახალი ჩასული ვიყავი, ერთხელ სავარჯიშოდ გამოვედი, დავიკარგე და მხოლოდ ხუთი საათის შემდეგ მივედი სახლში. ყველას გაუკვირდა, ამდენი ხანი რას ვარჯიშობდიო. გამოფენას რაც შეეხება, მინდა გავიხსენო ერთი გამოფენა, რომელზეც მუსიკოსმა შოუნ ჯეიმსმა მიმიწვია. ის თავადაც ხატავს და საკუთარი გალერეა აქვს. გამოფენაზე უჩვეულო ატმოსფერო იყო — მისი გიჟი როკ-მუსიკოსებიც იყვნენ და დამთვალიერებელი ამ მუსიკალური „გნიასის“ ფონზე ათვალიერებდა ნახატებს

- კედლის მხატვრობა ძაღლების სასტუმროში..

ამერიკაში სერიოზული საქმიანობის გარდა, კერძო შეკვეთებსაც ვიღებ და სხვადასხვა ადგილებში კედლებს ვხატავ. ყველაზე უცნაური შეკვეთა მქონდა, როცა კატების და ძაღლების სასტუმროს მოხატვა მთხოვეს. აი, იქ ნამდვილად ვერ გაიგებ ვინ ძაღლია და ვინ პატრონი. ძაღლებს ისეთი პირობები აქვთ, ბევრ ადამიანს შეშურდება: ოთახებში შხაპი და ტელევიზორი აქვთ. საკუთარი მასაჟისტიც კი ჰყავთ. მათივე მოთხოვნით, კედლებზე კმაყოფილი და ბედნიერი სახეებით ძაღლები და კატები გამოვსახე. რას ვიზამთ, ასეთია რეალობა.

- მსმენია გიგა სურამელის „მაგიურ ტილოებზე“, რაღაც „ლორიან გრეის“ პორტრეტის მსგავსზე...

– გიგა სურამელი: დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია – ამ ბოლო დროს ერთი უცნაური რამ აღმოვაჩინე: როცა ტილოზე დახატულ ნახატში რაიმეს შევცვლი ხოლმე, ცხოვრებაშიც, შესაბამისად, რაღაც იცვლება. ამერიკის საელჩოში შესვლის წინ, ჩემი თავი თავისუფლების ქანდაკებასთან დავხატე. მეორე დღეს, როგორც მოგიყევით, სრულიად მოულოდნელად, როცა ამის არანაირი წინაპირობა არ არსებობდა, ვიზა მომცეს. კიდევ მაქვს ნახატები, სადაც ჩემი ცხოვრების რაიმე ეპიზოდს კორექტირება გავუკეთე, შემდეგ კი ეს ცვლილება რეალობაზეც აისახა. სხვათა შორის, ეს შეცვლილი ნახატები არც ერთ ფოტოალბომში და კატალოგში არ მოხვდა

- იქნებ, საქართველოს რეალობაც შეცვალო?

ყველა ქართველს, გარდა პირადი ოცნებებისა, საერთო საოცნებოც გვაქვს, რაც საქართველოსთანაა დაკავშირებული. ამიტომ, ეს ამბავი, მასზეც მინდა გამოვცადო: საქართველოს დავხატავ და მერე, ისე შევცვლი მას, როგორც ყველანი ვოცნებობთ. იქნებ რეალობა მართლაც შეიცვალოს?!.

თეონა გოგნიაშვილი

ლიტერატურული კონკურსი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს პოეზიაში. საკონკურსო მასალები მიიღება დევიზით: ერთი კონვერტით იგზავნება საკონკურსო მასალა, მეორე კონვერტით – ავტორის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ლექსების ჩამონათვალი (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა „ლიტერატურულ მესხეთის“ თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

პირველი პრემია – 1000 ლარი – ასპინძის მუნიციპალიტეტისაგან;

მეორე პრემია – 500 ლარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან;

ორ-ორი მესამე პრემია – 400-400 ლარი – ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორფოლოგიის ინსტიტუტისა და კერძო პირ ელდარ ალიევისაგან;

ასევე დაწესებულია ერთი სპეციალური პრემია – 400 ლარი, ნომინაციაში – რელიგიურ თემატიკაზე – ანდრია პირველწოდებულის სახელობის თბილისის ქართული უნივერსიტეტისაგან.

გამარჯვებულების საზეიმო წარდგინება მოხდება ვარძიაში – „პოეზიის სახალხო დღესასწაულზე – შოთაობაზე“, ხოლო დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართება ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამა წლის სექტემბერში.

საკონკურსო ლექსები უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ნაბეჭდი ფორმით, არაუმეტეს 5 გამოუქვეყნებელი ლექსისა. ხელნაწერი არ მიიღება.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 1 სექტემბრი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ.3.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია.
საკონტაქტო ტელ. 5 99 97 95 24

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.